



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



# GFA-ISET ანალიტიკა

## ატამი და ვაშლატამა




WITH FUNDING FROM  
AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION



Georgian Farmers' Association  
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

**ISET**  
International School of Economics at TSU  
Policy Institute

ივლისი, 2017 წელი



# ატამი და ვაშლატამა




## ატამისა და ვაშლატამას წარმოება მსოფლიოში

ატამი (*Prunus persica*) და ვაშლატამა (*Prunus nectarina*) ვარდისებრთა ოჯახის ხეხილოვანი მცენარეებია. ისინი მსოფლიოში აზიიდან გავრცელდა და მალევე მოიპოვა პოპულარობა თავიანთი გემოვნური მახასიათებლების დამსახურებით. დღესდღეობით არსებობს ატამისა და ვაშლატამას ასობით განსხვავებული ჯიშები, რომელთა ნაყოფებიც ერთიანდება სახლეჩ და საკბეჩ კატეგორიებში. ატამი და ვაშლატამა კლიმატის მიმართ საკმაოდ პრეტენზიულია და ზამთრის უმოქმედო პერიოდიდან მოსავლის აღებამდე, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საჭიროებს როგორც შედარებით მშრალ ზამთარს, ისე ე.წ. „გრძელ საათებს“, ზომიერად თბილ გაზაფხულსა და თბილ ზაფხულს. ატამისა და ვაშლატამას ნაყოფი მდიდარია კალიუმით, რკინითა და ბეტა-კაროტინით, ამ ხილში არსებული ანტიოქსიდანტები და პოლიფენოლები კი ხელს უშლის მხედველობის დაქვეითებას, ათეროსკლეროზისა და ონკოლოგიური თუ სხვა ტიპის დაავადებების განვითარებას.

ბოლო წლებში ატამისა და ვაშლატამას წარმოება მსოფლიოში სწრაფი ტემპებით იზრდება და 2000-დან 2014 წლამდე წლიურად მოწეული მოსავლის ნაზრდმა 71% შეადგინა.

**გრაფიკი 1:** ატამისა და ვაშლატამას წარმოება მსოფლიოში (მილიონი ტონა)




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-ის) მონაცემებით, 2014 წელს ატამისა და ვაშლატამას წარმოებით მსოფლიოში პირველ 5 ადგილს იკავებდნენ შემდეგი ქვეყნები: **ჩინეთი** (12.4 მილიონი ტონა), **ესპანეთი** (1.6 მილიონი ტონა), **იტალია** (1.4 მილიონი ტონა), **საბერძნეთი** (1.0 მილიონი ტონა) და **აშშ** (1.0 მილიონი ტონა). ამავე წელს მსოფლიოში ატამისა და ვაშლატამას წარმოების ჯამურმა მოცულობამ 22.8 მილიონი ტონა შეადგინა.

## ატმისა და ვაშლატამას ექსპორტ-იმპორტი მსოფლიოში

2015 წელს ატმისა და ვაშლატამას ექსპორტიორი ქვეყნების ტოპ-ხუთეულში ადგილებს ევროპის ქვეყნები ჩილესთან ერთად ინაწილებდნენ. აღნიშნულ წელს საერთაშორისო ბაზარზე ესპანეთმა 849.5 ათასი ტონა (898.3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების), იტალიამ კი 269.3 ათასი ტონა (231.3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების) ატამი/ვაშლატამა გაყიდა.


**გრაფიკი 2:** ატმისა და ვაშლატამას მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: *trademap.org* (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ატმისა და ვაშლატამას ტოპ-ხუთი იმპორტიორი ქვეყნიდან ხუთივე ევროპული იყო და მათ შორის ლიდერობდა გერმანია, რომელმაც 302.2 ათასი ტონა ატმისა და ვაშლატამას შექმენაზე 350.3 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. მეორე ადგილი დაიკავა რუსეთმა, სადაც იმპორტის მოცულობამ 199.7 ათასი ტონა, ღირებულებამ კი 118.1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

**გრაფიკი 3:** ატმისა და ვაშლატამას მთავარი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: *trademap.org* (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)



## ატმის/ვაშლატამას წარმოება საქართველოში

საქსტატის მონაცემებით, ატმისა და ვაშლატამას წარმოება საქართველოში 2006-2016 წლებში საკმაოდ მერყევი იყო და მისმა მინიმალურმა მაჩვენებელმა — 6.9 ათასი ტონა (2010), ხოლო მაქსიმალურმა სიდიდემ წლიურად 33.3 ათასი ტონა (2016 წ.) შეადგინა. წარმოების რაოდენობით ქვეყნის რეგიონებს შორის ლიდერობს კახეთი, მეორე ადგილს კი შიდა ქართლი იკავებს. ბოლო წლებში, საქართველოს ამ ორ რეგიონში მოწეული ატმისა და ვაშლატამას ჯამური რაოდენობა ქვეყნის მთლიანი წლიური მოსავლის 90%-ს აჭარბებს.

## ქართული ატმის/ვაშლატამას ექსპორტ-იმპორტი


2006-2016 წლებში საქართველოდან ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი საკმაოდ მერყევი იყო, თუმცა ბოლო წლებში ქვეყანაში ატმის/ვაშლატამას ბალების ფართობებისა და მოსავლის ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდასთან ერთად, გაიზარდა ამ ხილის საექსპორტო პოტენციალიც და 2015 წელს იგი მოხვდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „ექსპორტის პოტენციალის მქონე 21 პრიორიტეტული პროდუქტის“ ჩამონათვალში. დღესდღეობით, ატმის/ვაშლატამას ექსპორტის მთავარ პრობლემად რჩება ქვეყანაში სამაცივრე მეურნეობების განუვითარებლობა (ატამი უნდა შეინახოს 0-1 C° ტემპერატურაზე) და ატმის/ვაშლატამას გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რის გამოც ფერმერი იძულებულია, მალფუჭებადი ატამი/ვაშლატამა მოსავლის აღების სეზონზევე გაყიდოს იმ დროისთვის ბაზარზე არსებულ შედარებით დაბალ ფასად.

რაც შეეხება ბოლო ათწლეულის ექსპორტის მონაცემებს, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, 186 ტონა (78.8 ათასი აშშ დოლარი) დაფიქსირდა 2007 წელს. გამორჩეულად კარგი გამოდგა 2016 წელი, როცა ატმისა და ვაშლატამას ექსპორტმა საქართველოდან 5,700 ტონა შეადგინა და ქვეყანას 2.8 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მოუტანა. ექსპორტირებული ატმისა და ვაშლატამას დაახლოებით 80% გაიყიდა რუსეთის ბაზარზე, დანარჩენი ნაწილი კი აზერბაიჯანში (9%), ყაზახეთში (7%), უკრაინასა (3%) და სხვა ქვეყნებში.





**გრაფიკი 4:** ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი საქართველოდან




წყარო: *trademap.org* (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)

2006-2016 წლებში საქართველოში ატმის ყოველწლიური იმპორტი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქვეყნის ექსპორტს, როგორც ღირებულებით, ისე რაოდენობრივად, მაგრამ იმპორტს უმეტესწილად ადგილი ჰქონდა ქვეყანაში ატმის/ვაშლატამას მოსავლის აქტიური სეზონის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ, როცა ატმის/ვაშლატამას ფასი შედარებით მაღალია. თუ შევხედავთ არსებულ მონაცემებს, 2006-2016 წლებში ქვეყანაში მთავარი იმპორტიორები იყვნენ თურქეთი და სომხეთი, რომლებსაც გასულ წელს საბერძნეთიც შეუერთდა. ბოლო ათწლეულის იმპორტის მაქსიმალური მოცულობა დაფიქსირდა 2012 წელს (633 ტონა, ჯამური ღირებულებით 124 ათასი აშშ დოლარი), ხოლო 2016 წლის იმპორტის რაოდენობამ 424 ტონა შეადგინა (174 ათასი აშშ დოლარი). რაც შეეხება იმპორტის მინიმალურ მოცულობასა და ღირებულებას, ორივე მათგანი დაფიქსირდა 2006 წელს (შესაბამისად, 9 ტონა და 4 ათასი აშშ დოლარი).



**გრაფიკი 5:** ატმისა და ვაშლატამას იმპორტი საქართველოში




წყარო: *trademap.org* (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)

**ატმისა და ვაშლატამას მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში**

FAO-ის მონაცემებით, ატმისა და ვაშლატამის მწარმოებელ ტოპ-ხუთ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ხილის საბითუმო ფასების თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: შედარებით გაიზარდა ჩინეთსა და აშშ-ში არსებული ფასები, ხოლო ფასების შეფარდება შენარჩუნდა საბერძნეთისთვის და შედარებით შემცირდა ესპანეთის შემთხვევაში.



**გრაფიკი 6:** ატმისა და ვაშლატამას მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში (აშშ დოლარი/ტონა)



წყარო: FAOSTAT (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)


**ატმისა და ვაშლატამას მწარმოებელთა ფასები საქართველოში**

2006-2015 წლებში საქართველოსა და ევროკავშირში ატმისა და ვაშლატამას მწარმოებელთა ფასები უმეტესწილად საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლებოდა, მაგრამ ევროკავშირის ფასები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდა შედარებით მაღალ დონეს. ფასებს შორის სხვაობის მინიმუმი დაფიქსირდა 2015 წელს, როცა ქართველი ფერმერები 1 ტონა ატამსა და ვაშლატამას ყიდდნენ საშუალოდ 385 აშშ დოლარად, ხოლო მათი ევროკავშირელი კოლეგები — 744 აშშ დოლარად. რაც შეეხება ათწლეულის ყველაზე მაღალ და დაბალ ფასებს, ქართული ატამი და ვაშლატამა ყველაზე ძვირად იყიდებოდა 2011 წელს (473 აშშ დოლარი/ტონა), ყველაზე იაფად კი - 2013-ში (182 აშშ დოლარი/ტონა).





**გრაფიკი 7:** ატმისა და ვაშლატამას მწარმოებელთა ფასები საქართველოსა და ევროკავშირში (აშშ დოლარი/ტონა)




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 5 ივლისის მონაცემებით)

**ატმისა და ვაშლატამას სამომხმარებლო ფასები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი წარმოების ატმისა და ვაშლატამას სამომხმარებლო ფასი მკვეთრი სეზონურობით ხასიათდება — იკლებს ზაფხულის დაწყებისას და იზრდება მისი დამთავრების შემდეგ. ეს ფაქტი ზაფხულში ატმისა და ვაშლატამას მოკრეფით (ბაზარზე მიწოდების ზრდით) და შემოდგომაზე მისი სიმცირით აიხსნება. უშუალოდ 2017 წლის ივლისში საქართველოში წარმოებული ატმის საშუალო სამომხმარებლო ფასი 1,07 ლარი/კგ-ს შეადგენდა, ვაშლატამასთვის კი ანალოგიური სიდიდე 0,80 ლარი/კგ იყო. რაც შეეხება ქართული ატმისა და ვაშლატამას სამომხმარებლო ფასების განსხვავებას ქვეყნის რეგიონებს შორის, 2017 წლის ივლისში ეს პროდუქტი საშუალოდ ყველაზე ძვირი ღირდა აჭარაში (1.8 ლარი/კგ), ყველაზე იაფად კი ქართული ატმისა და ვაშლატამის შექმენა კახეთში (0.73 ლარი/კგ) შეიძლებოდა.




**გრაფიკი 8:** ატმის სამომხმარებლო (საცალო) და მწარმოებლის (საბითუმო) ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
 შენიშვნა: ნოემბერი 2015-აპრილი 2016 და ნოემბერი 2016-მაისი 2017 პერიოდებში ქართული ატამი ბაზარზე ან არ იყიდებოდა ან მის ფასზე მონაცემები არ არსებობს.

**გრაფიკი 9:** ვაშლატამის სამომხმარებლო (საცალო) და მწარმოებლის (საბითუმო) ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
 შენიშვნა: ნოემბერი 2015-აპრილი 2016 და ოქტომბერი 2016-მაისი 2017 პერიოდებში ქართული ვაშლატამა ბაზარზე ან არ იყიდებოდა ან მის ფასზე მონაცემები არ არსებობს.





## ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა

პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება საქართველოში, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერის გზით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის დახმარებით.

მის შინაარსზე პასუხისმგებელია CARE და მისი პარტნიორები  
- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ISET-PI.

პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

